სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

N1.1/18

ქ. თბილისი

12.02.2020 წ.

შპს „თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტებისათვის/აბიტურიენტებისათვის რიგგარეშე მობილობის პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 55-ე და 57-ე მუხლების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 და 2^1 პუნქტების, 5^1 მუხლის მე-3 პუნქტის, ასევე, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 10 თებერვლის N162592 და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2020 წლის 11 თებერვლის N171561 კორესპონდენციების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს, შპს „თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტებისათვის/აბიტურიენტებისათვის რიგგარეშე მობილობის პროცესის შემდეგი ვადები:
   ა) დაწესებულებების მიერ რიგგარეშე მობილობის გზით, საფეხურების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის, აგრეთვე სწავლის საფასურის შესახებ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის წარდგენის ვადა - 2020 წლის 17 თებერვლიდან - 20 თებერვლის ჩათვლით;
   ბ) რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენის ვადა - 2020 წლის 4 მარტიდან - 10 მარტის ჩათვლით;
   გ) სტუდენტის რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს ბრძანების გამოცემის ვადა - არაუგვიანეს 2020 წლის 16 მარტისა.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ადგილების თავისუფალი რაოდენობა გამოითვლება ამ დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით 2020 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის, დაწესებულების მიერ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ საფუძველზე სპეციალური ანკეტა-კითხვარში წარმოდგენილი მისაღები ადგილების და 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემეტრის მობილობის შედეგების საფუძველზე ჩარიცხვის პროექტში გათვალისწინებული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით.
3. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსების გზით.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი. მე-12 კმ. №6), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბიზნესის ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის - სალომე ჯაფარიძის 2020 წლის 11 თებერვლის N172994 სამსახურებრივი ბარათი.

უფროსი **დიმიტრი ბერიძე**